საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№151/16 „18“ ნოემბერი 2016წ.

სს. „ბაკალეა“-ს დირექტორს ბატონ დავი როგავას.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გ. ნადარეიშვილის ქუჩა №4-ში სს. „ბაკალეა“-ს ტერიტორიაზე არსებული სასაწყობე შენობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გ. ნადარეიშვილის ქუჩა №4-ში, სს. „ბაკალეა“-ს ტერიტორიაზე (ს/კ №01.17.11.009.016) არსებული ერთ სართულიანი სასაწყობე ნაგებობის თავზე მეორე სართულის დაშენების შესაძლებლობის მიზნით. არსებული შენობა ერთ სართულიანია, გეგმაში მართკუთხა მოხაზულობით, ზომებით l×b=108.15×19.37მ. კონსტრუქციულად შენობა მზიდ კედლებიანია, ნაშენი ტუფის ქვის თლილი წყობით, სისქით 40÷60მ. შენობა განივი მიმართულებით გადახურულია სამკუთხა მოხაზულობის ხის ფერმებით. „ა“ ღერძის გასწვრივ, ფასადის მთელს სიგრძეზე სასაწყობე ნაგებობას გააჩნია მსუბუქი მიშენება ფარდული, სიგანით 490სმ. ფარდულის მაქსიმალური სიმაღლე ±0.00მ. ნიშნულიდან შეადგენს 530სმ.

სს. „ბაკალეა“-ს ხელმძღვანელობას სურვილი აქვს სასაწყობე ნაგებობას ჩაუტაროს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მოაწყოს ორ სართულიანი საოფისე შენობა. ამ მიზნით შ.პ.ს „Mk-architecture”-ს მიერ დამუსავებულია პროექტის არქიტექტურული ნაწილი. პროექტი სედგენილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოცემულია ნაგებობის აზომვითი ნახაზები.კერძოდ: გენგეგმა; გეგმები; ჭრილები; ფასადები. მეორე ნაწილში მოცემულია რეკონსტრუქციით გათვალისწინებული საპროექტო შენობა, ასევე მისი გეგმები; ჭრილები; ფასადები. საპროექტო შენობა გათვალისწინებულია შემდეგნაირად: არსებული შენობის გეგმაზე წითელი ფერით დატანილია სვეტები, რაც ნიშნავს, რომ რეკონსტრუქცია განხორციელდება კარკასულ ვარიანტში. გრძივი მიმართულებით სვეტები

განლაგდება „ბ“ და „გ“ ღერძების გასწვრივ, ხოლო განივი მიმართულებით, „ა“ და „დ“ ღერძების გასწვრივ არსებულ პილასტრებთან (გრძივი მიმართულების ახალი ღერძები „ა′’’; „გ′’’). კარკასული ნაწილის „14“-„14′“ ღერძებს შორის მოწყობილია ანტისეისმური ნაკერი, თანახმად სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა (პნ.01.01-09), ცხრილი №8 შენიშვნები“-სა. ღერძებში „26“÷“28“, „ა“; „დ“ ღერძებს შორის პირველი და მეორე სართულების დასაკავშირებლად განთავსდება ორ მარშიანი კიბე და ლიფტის შახტა გეგმითი ზომებით l×b=319×300სმ. ასევე ორი ლიფტი და კიბის უჯრედი მოეწყობა რეკონსტრუქციის შედეგად ახალ ღერძებში „1′’’- „2′’’ ; „ა′’’÷ „გ′’’ ღერძებს შორის. რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დასამუშავებლად, ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა. საკვლევი ნაგებობის სივრცეში მოეწყო სამი შურფი №1; №2; №3. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე, ნაგებობის საძირკვლები მონოლითური ბეტონის ლენტურია. საძირკველი ჩაღრმავებულია იატაკის დონიდან (იატაკი წარმოადგენს ბეტონის ფილას სისქით 20სმ. ნიშნული ±0.00მ.) 240სმ.-ით. ლენტის ტანის სიმარლეა 180სმ. სიგანე 90სმ. ტანი ეყრდნობა 160სმ. სიგანისა და 40სმ. სიმაღლის მონოლითური ბეტონის ფილას. საძირკველი დაფუძნებულია ფენა №2-ზე. იგი წარმოადგენს თიხას ძნელპლასტიკური კონსისტენციით. ხვინჭის ჩანართებით 10%-მდე. მყვითალო-მოყავისფრო ფერით. მათი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე	$\rho=1.78$ტ/მ^3.
-შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi=22^0$
-ხვედრითი შეჭიდულობა	$c=0.65$კგ/სმ^2.
-დეფორმაციის მოდული	$E=170$კგ/სმ^2.
-პირობითი საანგარიშო წინაღობა	$R_0=2.5$კგ/სმ^2.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, საპროექტო ნაგებობის საძირკვლის საყრდენ ფუძედ მიღებული უნდა იქნას ფენა №2.

დასკვნა:

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გ. ნადარეიშვილის ქუჩა №4-ში, სს. „ბაკალეა“-ს ტერიტორიაზე (ს/კ №01.17.11.009.016) არსებული ერთ სართულიანი სასაწყობე ნაგებობის რეკონსტრუქციის შედეგად ორ სართულიანი შენობის მშენებლობა წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწლის მიხედვით შესაძლებელია, მხოლოდ არქიტექტურულთან ერთად უნდა დამუშავდეს სათანადო ჩატარებული

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, რეკონსტრუირებული შენობის საძირკვლებისათვის საყრდენ გრუნტად მიღებული იქნას ფენა №2. თიხა ძნელპლასტიკური კონსისტენციით. ხვინჭის ჩანართებით 10%-მდე. მყვითალო-მოყავისფრო ფერით.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/